შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
სრული შემოსავლის ანგარიშგება 7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 10
2. მომზადების საფუძველი 10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 11
4. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული 25
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 25
6. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები 27
7. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება 28
8. ფული და მისი ექვივალენტი 29
9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები 29
10. სავაჭრო მოთხოვნები 30
11. გაცემული ავანსები 30
12. მიღებული სესხები 32
13. კრედიტორული დავალიანება 31
14. მიღებული ავანსები 32
15. საგადასახადო ვალდებულება, წმინდა 32
16. კაპიტალი 32
17. შემოსავალი 32
18. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 32
19. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 33
20. არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) 33
21. მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა 33
22. ფინანსური ხარჯი 33
23. მოგების გადასახადი 34
24. ფინანსური რისკი 34
25. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები 36
26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარებთან 37
27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 38

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ლ. ენდ ლ“-ს დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ლ. ენდ ლ“-ის (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ დავესწარით და დავაკვირდით კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს, რომელიც ჩატარდა 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული რწმუნება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ოდენობის სისწორეში, რადგან ინვენტარიზაციის პროცესი უზუსტობებით მიმდინარეობდა. დაუდასტურებელი სასაქონლო მატერიალურ მარაგები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 508 ათასი ლარით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ თუ აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ მარაგებში, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

კომპანიის 2019 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია 521 ათასი ლარის ოდენობის ხარჯი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი). აღნიშნული ხარჯი წარმოადგენს საქვეანგარიშოდ გაცემული თანხის ჩამოწერას. ჩვენ ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული ხარჯის შესახებ. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტრერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაზე, რომელიც მიუთითებს, რომ კომპანიის წმინდა ზარალი შეადგენს 1,076 ათას ლარს 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და ამავე თარიღისთვის კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს 2,558 ათასი ლარით. ეს მოვლენები და მდგომარეობა მიგვითითებს რომ არსებობს მნიშვნელოვანი გარემოებები რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს კომპანიის

როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს არსებობას. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი პირობითი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვდენილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და კანონის სათანადო მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და

შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის სოფიკო ღუდუშაური.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით,

2020 წლის 25 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის სოფიკო ღუდუშაური.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით,

2020 წლის 25 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

12, Aleksidze str. | King David Business Center | Tbilisi 0171 Georgia | ალექსიძის ქ.12 | ბიზნეს ცენტრი კინგ დევიდი | თბილისი 0171 საქართველო | T: +995 32 25 606 25 | info@nexia.ge | www.nexia.ge

შპს „ლ.ენდ ლ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 *
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	7	8,981	8,833
სულ გრძელვადიანი აქტივები		**8,981**	**8,833**
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	452	122
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	508	202
სავაჭრო მოთხოვნები	10	363	664
გაცემული ავანსები	11	41	293
სულ მიმდინარე აქტივები		**1,364**	**1,281**
სულ აქტივები		**10,345**	**10,114**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	10,140	7,147
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**10,140**	**7,147**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	13	2,503	4,646
მიღებული ავანსები	14	20	335
მიღებული სესხები	12	1,014	468
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	15	385	159
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**3,922**	**5,608**
სულ ვალდებულებები		**14,062**	**12,755**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		117	117
აკუმულირებული ზარალი		(3,834)	(2,759)
სულ კაპიტალი	16	**(3,717)**	**(2,642)**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**10,345**	**10,114**

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია რეკლასიფიკაციის შემდეგ იხ. შენიშვნა 6

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ბესარიონ მარშანია
დირექტორი
თბილისი, საქართველო

ლელა კოკაია
მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო

10-38 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლ.ენდ ლ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 *
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	7	8,981	8,833
სულ გრძელვადიანი აქტივები		**8,981**	**8,833**
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	452	122
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	508	202
სავაჭრო მოთხოვნები	10	363	664
გაცემული ავანსები	11	41	293
სულ მიმდინარე აქტივები		**1,364**	**1,281**
სულ აქტივები		**10,345**	**10,114**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	10,140	7,147
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**10,140**	**7,147**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	13	2,503	4,646
მიღებული ავანსები	14	20	335
მიღებული სესხები	12	1,014	468
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	15	385	159
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**3,922**	**5,608**
სულ ვალდებულებები		**14,062**	**12,755**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		117	117
აკუმულირებული ზარალი		(3,834)	(2,759)
სულ კაპიტალი	16	**(3,717)**	**(2,642)**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**10,345**	**10,114**

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია რეკლასიფიკაციის შემდეგ იხ. შენიშვნა 6

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ბესარიონ მარშანია
დირექტორი
თბილისი, საქართველო

ლელა კოკაია
მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო

საქართველოს შპს "ლ.ენდ ლ" 404986164 GEORGIA "L & L" LLC

10-38 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნები	2019	2018 *
შემოსავლები	17	12,100	7,080
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(10,623)	(6,778)
საერთო მოგება		**1,477**	**302**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(885)	(761)
სხვა ხარჯი		(223)	(105)
საოპერაციო მოგება /(ზარალი)		**369**	**(564)**
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	20	(462)	22
(ზარალი) /მოგება კურსთაშორისი სხვაობა, წმინდა	21	(463)	87
ფინანსური ხარჯი	22	(520)	(439)
ზარალი დაბეგვრამდე		**(1,076)**	**(894)**
მოგების გადასახადი	23	-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		**(1,076)**	**(894)**

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია რეკლასიფიკაციის შემდეგ იხ. შენიშვნა 6

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ბესარიონ მარშანია
დირექტორი
თბილისი, საქართველო

ლელა კოკაია
მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო

10-38 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნები	2019	2018 *
შემოსავლები	17	12,100	7,080
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(10,623)	(6,778)
საერთო მოგება		**1,477**	**302**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(885)	(761)
სხვა ხარჯი		(223)	(105)
საოპერაციო მოგება /(ზარალი)		**369**	**(564)**
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	20	(462)	22
(ზარალი) /მოგება კურსთაშორისი სხვაობა, წმინდა	21	(463)	87
ფინანსური ხარჯი	22	(520)	(439)
ზარალი დაბეგვრამდე		**(1,076)**	**(894)**
მოგების გადასახადი	23	-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		**(1,076)**	**(894)**

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია რეკლასიფიკაციის შემდეგ იხ. შენიშვნა 6

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ბესარიონ მარშანია
დირექტორი
თბილისი, საქართველო

ლელა კოკაია
მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო

10-38 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლ.ენდ ლ“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2017	117	(1,863)	**(1,746)**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(894)	**(894)**
31 დეკემბერი 2018	**117**	**(2,756)**	**(2,642)**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,076)	**(1,076)**
31 დეკემბერი 2019	**117**	**(3,834)**	**(3,717)**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ბესარიონ მარშანია
დირექტორი
თბილისი, საქართველო

ლელა კოკაია
მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო

10-38 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლ.ენდ ლ“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2017	117	(1,863)	(1,746)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(894)	(894)
31 დეკემბერი 2018	117	(2,756)	(2,642)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,076)	(1,076)
31 დეკემბერი 2019	117	(3,834)	(3,717)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ბესარიონ მარშანია
დირექტორი
თბილისი, საქართველო

ლელა კოკაია
მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო

10-38 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(1,076)	(894)
კორექტირებები:			
ცვეთა	7	981	881
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	(22)
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	10	109	68
ფინანსური ხარჯი	22	520	555
ზარალი /(მოგება) კურსთაშორისი სხვაობა, წმინდა	21	463	(87)
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
მარაგების ცვლილება		(306)	(120)
წმინდა საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება		226	144
სავაჭრო მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ცვლილება		243	(825)
მიღებული ავანსების ცვლილება		(312)	335
კრედიტორული დავალიანებების ცვლილება		226	2,856
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**1,073**	**2,891**
გადახდილი პროცენტები		(243)	(179)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**830**	**2,712**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(738)	(3,934)
ძირითადი საშუალებების გასხვისება		-	98
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		**(738)**	**(3,836)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
ფინანსური ვალდებულებების დაფარვა		(1,066)	(1,926)
მიღებული სესხები		1,401	2,904
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის დაფარვა		(96)	-
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან		**239**	**978**
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა /(კლება) წლის განმავლობაში		**331**	**(146)**
სავალუტო კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		(1)	22
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	122	246
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**8**	**452**	**122**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ბესარიონ მარშანია	ლელა კოკაია
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

10-38 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(1,076)	(894)
კორექტირებები:			
ცვეთა	7	981	881
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	(22)
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	10	109	68
ფინანსური ხარჯი	22	520	555
ზარალი /(მოგება) კურსთაშორისი სხვაობა, წმინდა	21	463	(87)
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
მარაგების ცვლილება		(306)	(120)
წმინდა საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება		226	144
სავაჭრო მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ცვლილება		243	(825)
მიღებული ავანსების ცვლილება		(312)	335
კრედიტორული დავალიანებების ცვლილება		226	2,856
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**1,073**	**2,891**
გადახდილი პროცენტები		(243)	(179)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**830**	**2,712**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(738)	(3,934)
ძირითადი საშუალებების გასხვისება		-	98
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		**(738)**	**(3,836)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
ფინანსური ვალდებულებების დაფარვა		(1,066)	(1,926)
მიღებული სესხები		1,401	2,904
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის დაფარვა		(96)	-
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან		**239**	**978**
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა /(კლება) წლის განმავლობაში		**331**	**(146)**
სავალუტო კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		(1)	22
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	122	246
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**8**	**452**	**122**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ბესარიონ მარშანია
დირექტორი
თბილისი, საქართველო

ოლეგა კოკაია
მთავარი ბუღალტერი
თბილისი, საქართველო

10-38 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

ლ. ენდ ლ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო დაარსებული 2013 წელის 11 აპრილს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ის დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 404986164.

კომპანიის მფლობელები წარმოდგენილნი არიან შემდეგნაირად:

	2019	2018
ლევან დადიანი	22%	22%
ლევან კანდელაკი	22%	22%
ვლადიმირ იარმალჩუკი	25.5%	25.5%
მიხაელ ვოლფი	25.5%	25.5%
ბესარიონ მარშანია	5%	5%
	100%	**100%**

ვლადიმირ იარმალჩუკი და მიხაელ ვოლფი არ არიან საქართველოს რეზიდენტები, კომპანიის სხვა ყველა მფლობელი არის საქართველოს რეზიდენტი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ასფალტის წარმოება, რელიზაცია.

კომპანიის ფაქტიური და რეგისტრირებული მისამართი არის გლდანის რ-ნი შემოსასვლელი გზის მე-13 კილომეტრი, თბილისი, საქართველო.

ამ ანგარიშების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის ბესარიონ მარშანია.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, საერთო და საოპერაციო მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სამშენებლო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 27). კომპანიამ ასევე იმსჯელა ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებზე (იხილეთ შენიშვნა 5) და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

წარსადგენი ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი - საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2019	2018
1 USD/GEL	2.8192	2.5345
1 EUR/GEL	3.1553	2.9913

ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარებაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზრიდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

აქტივის გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ძირითად საშუალებებთან ერთად.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშულების ჯგუფი	*სასარგებლო პერიოდის ვადა*
შენობა ნაგებობები	20 წელი
მანქანა დანადგარები	5 წელი
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5 წელი
აქტივის გამოყენების უფლება	5 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივის შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა სავაჭრო მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან რეალური ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღრებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულოებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშკერულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშკერულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმაოდგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გაუფასურება

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალები როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი მოთხოვნებისთვის ასევე სახელშეკრულებო აქტივის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9 ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. პროცესში კომპანია ახდენს მოთხოვნის გადაუხდელი ნაწილის ალბათობის შეფასებას. იმისთვის, რომ კომპანიამ განსაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, მიღებულ ალბათობას ამრავლებს საკრედიტო ზარალებზე წარმოშობილი დეფოლტის შემთხვევაში.

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად.მეთოდოლოგია,რომელსაც კომპანია იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც კომპანია განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას ახდენს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებებს კლასიფიცირებულს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტი (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღირება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხების საპროცენტო ხარჯები რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას ნასესხები აქვს თანხები თავისი დაკავშირებული მხარისგან თავისი ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში. თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

მიღებული სესხები

მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯები რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას მიღებული სესხები აქვს ფინანსური ინსტიტუტებიდან ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.დამატებითი დეტალები მიღებული სესხების შესახებ განხილულია მე-12 შენიშვნაში.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია ხელშეკრულების დაწყებისას აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას , თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება ინდეტიფიცირებული აქტივის კონტორილის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის თვითღირებულებით რომელიც მოიცავს:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

- საიჯარო ვალდებულებების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს;
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს.

აქტივის გამოყენების უფლების შემდგომი შეფასებისთვის კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს, რომლიც მიხედვითაც აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულებას გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი; და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით. საიჯარო ხელშეკრულებების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, შესაბამისად მსგავსი ტიპის აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. კომპანია აქტივის გამოყენების უფლებაზე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის გამოიყენებს წრფივ მეთოდს ბასს-16 „ძირითადი საშუალებები“-ის მოთხოვნების შესაბამისად.

საიჯარო ვალდებულება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისათვის დანხოცრციელებული არ არის. საიჯარო გადახდები, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის:

- ფიქსირებულ გადასახადებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ინდექსებზე ან განაკვეთებზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით;
- თანხებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შესყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

კომპანიამ საიჯარო გადახდების დისკონტირება განახორციელა როგორც იჯარაში ნაგულისმევი საპრცეონტო განაკვეთით. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულებას ზრდის აღნიშნულ ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტით და ამცირებს საიჯარო გადახდებით. კომპანია საიჯარო ვალდებულბის საბალანსო ღირებულებას ხელახლა აფასებს იმ შემთხვევაში თუ არსებობს გარემოებები იჯარის ვადის და მოდიფიცირების ცვლილების, საიჯარო გადახდების ღირებულების ან შეფასების ცვლილებას შესყიდვის არჩევანის გამოყენებისას.

კომპანიის საიჯარო ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულია მიღებულ სესხებთან ერთად და განხიულია მე-12 შენიშვნაში.

მოკლევადიანი იჯარა

კომპანია იყენებს მოკლევადიან იჯარებთან მიმართებით აღიარებიდან განთავისუფლებას იმ საიჯარო ხელშეკრულების მიმართ რომელთა ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს და არ მოიცავს საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას. კომპანიას მსგავსი ტიპის საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს მანქანა-დანადგარების იჯარისთვის.

3. საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

კომპანია როგორც მეიჯარე

იჯარები, რომლებზეც კომპანია არ გადასაცემს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პარქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე საიჯარო ვადის განმავლობაში.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცრებული, როგორც გრძელვადიანი.აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია,რომ აქტივთან დაკავშირებულისამომავლო ეკონომიკური სარგებელიშევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომსაავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლისგან გადმოცემულ გრძელვადიან აქტივს ან კოტრიბუციას. კაპიტალში არაფულადი შენატანის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება აკუმულირებულ ზარალში / გაუნაწილებელ მოგებაში.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი დეკლარირება და აღიარება. ინფორმაცია დივიდენდებზე, რომელთა დეკლარირება ხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროებამდე, წარმოდგენილია პერიოდის შემდგომი მოვლენების ამსახველ შენიშვნაში.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები (გაგრძელება)

- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორ გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში;ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღგ-ს მიმართ დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას.საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით.

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისსსაქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასხადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა,საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვისდივიდენდის გადახდის მომენტში.რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდემიღებული მოგებიდანგადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდსთვის, გამრვლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახდს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის

თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდიენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა,გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები,ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს-15-ის დანერგვამ მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა კომპანიის 2018 წლის შემოსავლებზე. კომპანიამ ფასს-15-ის დანერგისთვის აირჩია კუმულაციური ეფექტის მეთოდი, რომელიც არ მოითხოვს წინ წლების რიცხვების გადაანგარიშებას.

ამონაგები აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. კომპანია აღიარებს შემოსავალს შესრულებული სახელშეკრულებო ვალდებულებების პროპორციულად. კომპანია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებს აღიარებს ფასს-15-ის მიხდვით, თუ აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

- ხელშეკრულების მონაწილე მხარებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების ვალდებულება აიღეს;
- კომპანიას შეუძლია გადასცეს საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;
- კომპანიას შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;
- ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება კომპანიის სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკები) და ;
- მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისათვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლინი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გაგრძელება)

შემოსავალი აღიარდება როდესაც ან როგორც კი შესრულდება კონტრაქტით განპირობებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის კონტროლის ქვეშ გადაცემა. კონტორლის გადაცემა ხდება ხდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან დროის გარკვეულ მომენტში.

შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან

სამშენებლო ხელშეკრულებები მოიცავს მხოლოდ ერთ შესასრულებელ ვალდებულებას. სამშენებლო სამუშაოებში შესასრულებელი ვალდებულება მოიცავს სამშენებლო ხელშეკრულებას ან გასაწევ მომსახურებას.

შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან

კომპანია ახდენს სამშენებლო მასალების: ასფალტის, ქვიშისა და ღორღის რეალიზაციას მომხმარებლებზე.აღნიშული პროდუქციის რეალიზაციიდან შესასრულებელი ვალდებულება სრულდება დროის იმ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადადის მომხმარებელზე, ზოგადად მიწოდების დროს და იმავე პერიოდში აღიარებს შემოსავალს.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული ხელშეკრულებებიდან, რომელიც დამოკიდებულია შესრულებულ ვალდებულებებზე კონკრეტულ თარიღში აქედან გამომდინარე შემოსავალი მიღებული თითოეული შემოსავლიდან განისაზღვრება ფიქსირებული ფასებით.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულაზე

კომპანია ანაწილებს გარიგების ფასს თითოეული შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით, ფიქსირებული ფასების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ყველა მომსახურებასთან დაკავშირებულ საზღაურს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურლებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტინის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. რეალური ღირებულება არის ფასი,

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

რომელიც მიღებული ანდ გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. რეალური ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ოპერაცია ხორციელდება:

- მოცემული აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- მოცემული აქტივის, ან ვლადებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარეზე, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულება ისეთი დაშვებების გამოყენებით უნდა შეფასდეს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, თუკი იმოქმედებენ საკუთარი ეკონომუკური ინტერესების შესაბამისად.

კომპანია იყენებს რეალური ღირებულების ისეთ მეთოდს, რომელიც მოცემული გარემოების შესაფერისია და რომლისთვისაც საკმარისი მონაცემები არსებობს რეალური ღირებულების შესაფასებლად. კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესამჩნევი ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით

  (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

ახალი სტანდარტები ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრის ან მას შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. კომპანიამ დანერგა ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და სტანდარტების საბჭოს– ის მიერ გაცემული ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის.

ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა –

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები (გაგრძელება)

სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის (ძირითადი აქტივების) გამოყენების უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში.სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს

საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16-ის თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის (2019 წლის 1 იანვარი) კომპანიამ გამოიყენა მოდიფიცირებული რეტრპოსპექტული მიდგომა. აღნიშული მეთოდის თანახმად, სტანდარტი გამოყენებულია რეტროსპექტულად, ამ სდანდარტის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტის აღიარებით თავდაპირველი გამოყენების თარიღით.კომპანიამ გარდამავალი პრაქტიკული მიზანშეწონილობისთვის მიზანშეწონილად არ მიიჩნია შეეფასებინა არის თუ არა ხელშეკრულება საიჯარო ხელშეკრულება და მოიცავს თუ არა ის იჯარას 2019 წლის 1 იანვრის მდგომაროებით.

ისეთი იჯარების მიმართ, რომლებიც ბასს-17-ის შესაბამისად კლასიფიცირებული იყო ფინანსურ იჯარად, კომპანიამ სდანდარტის (ფასს-16) თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალებულებების ღირებულება შეაფასა როგორც იმ საბალანსო ღირებულებად, რომელიც მათ ჰქონდათ უშუალოდ ბასს-17-ის გამოყენებით შეფასებამდე. ზემოთ აღნიშულიდან გამომდინარე, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

- აქტივის გამოყენების უფლება 149 ათასი ლარით აღიარებულ და წარმოდგენილ იქნა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც „ძირთადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება“;
- საიჯარო ვადლებულებები 158 ათასო ლარით აღიარებულ იქნა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფასს-16 ის დანერგვას გავლდენა არ მოუხდენია კომპანიის გაუნაწილებელ მოგებაზე.

ფასს 9 – ში შეტანილი ცვლილებები: წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით

ფასს-9 ის თანახმად, სესხის ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არის „მხოლოდ ძირითადი თანხის გადახდა და პროცენტის“ (SPPI-ის

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები (გაგრძელება)

კრიტერიუმი) და ფინანსნსური ინსტუმენტი აღიარდება ბიზნეს მოდელის კლასიფიკაციის შესაბამისად. ფასს 9 – ში შეტანილი ცვლილებებით განმარტებულია, რომ ფინანსური აქტივი გადადის SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის.

ამ ცვლილებებმა გავლენა არ მოახდინა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 19-ში: გეგმის ცვლილება, შემცირება და ანგარიშსწორება

ბასს 19-ში შეტანილი ცვლილებები ეხება აღრიცხვას, როდესაც გეგმის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება მოხდება საანგარიშო პერიოდში. ცვლილებებში მითითებულია, რომ როდესაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გეგმის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება ხდება, ერთეულს მოეთხოვება განსაზღვროს მიმდინარე მომსახურების ღირებულება გეგმის ცვლილების, შემცირების ან ანგარიშსწორების შემდეგ პერიოდის დარჩენილი პერიოდისთვის, გამოყენებული აქტუალური ვარაუდების გამოყენებით. განმეორებით განსაზღვრეთ სარგებლიანი ვალდებულების (აქტივობის) განზომილება, რომელიც ასახავს ამ ღონისძიების შემდეგ გეგმით გათვალისწინებულ შეღავათებს და გეგმის აქტივებს. სუბიექტი ასევე ვალდებულია დაადგინოს გეგმის ცვლილების, შემცირების ან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი პერიოდის წმინდა პროცენტი, განსაზღვრული სარგებლიანი ვალდებულების (აქტივის) გამოყენებით, რომელიც ასახავს შეთავაზებულ სარგებელს და გეგმის აქტივებს ამ მოვლენის შემდეგ, და ფასდაკლებით განაკვეთი გამოიყენება განსაზღვრული სარგებლიანი ვალდებულების (აქტივის) განმეორების მიზნით.

ცვლილებებმა გავლენა ვერ მოახდინა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ამ პერიოდში მას არ ჰქონდა რაიმე გეგმის ცვლილებები, შემცირებები ან ანგარიშსწორება.

4. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არის გამოცემული, მაგრამ ჯერ არ არ შესულა ძალაში კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე მოცემულია ქვემოთ.კომპანია აპირებს მიიღოს აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ისინი ძალაში შევა.

ცვლილებები ბასს 1-ში და ბასს 8-ში: მატერიალურობის განმარტება

2018 წლის ოქტომბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ იქნა ცვლილებები ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, რომელიც ეხება მარტერიალურობის განმარტების გათანაბრებას სტანდარტებს შორის და განმარტების გარკვეული ასპექტების გარკვევას. ახალი განმარტებით აღნიშნულია რომ, ’ ინფორმაცია არის არსებითი თუ მისი გამოტოვება, არასწორად აღნიშვნა ან დამალვა(დაფარვა) ქმნის ალბათობას რომ ფინანსური ანაგრიშგებების იმ უპირველეს მომხმარებლებზე გადაწყვეტილებების მიღებისას იქონიებს გავლენას, რომლებიც იძლევიან ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტულ საანგარიშგებო პირზე.

ცვლილებები მატერილურობის განმარტებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია რომ აქ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება/ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების ანარიცხები

კომპანიას დანერგილი აქვს ფასს-9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენება სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მგრძნობიარეა გარემოებათა ცვლილებებისა და ეკონომიკური პირობების პროგნოზირების მიმართ. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, აგრეთვე სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესახებ ინფორმაცია დეტალურად განხილულია მე-10 შენიშვნაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებული მხარეების გარიგებები

ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიამ 2019 წლისათვის განიცადა ზარალი 1,076 ათასი ლარის ოდენობით (2018 წლისთვის: 894 ათასი ლარი ზარალი), ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები აღემატებოდა მიმდინარე აქტივებს 2,558 ათასი ლარით (2018 წლის 31 დეკემბერი: 4,327 ათასი ლარით). მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს დაკავშირებული მხარის და ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებს.

კომპანიის საქმიანობა და ფინანსური ლიკვიდურობა დამოკიდებული იქნება მისი მფლობელებისა და დაკავშირებულ მხარეთა მუდმივ მხარდაჭერაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას აქვს წვდომა გრძელვადიანი დაფინანსების შიდა და გარე წყაროებზე, რაც საკმარისია მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად და საქმიანობის უწყვეტად წარსამართად. ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

6. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა მუხლთაშორისი სხვაობების იდენტიფიცირება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის მუხლების გადახედვა, რაც წარმოადგენს მხოლოდ კლასიფიკაციის ცვლილებას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მუხლთაშრისი ნაშთების რეკლასიფიკაცია ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, აღნიშნულს გავლენა არ აქვს კომპანიის 2018 წლის სრულ ზარალზე:

2018 წლის ფინანსური მდგომაროების ანგარიშგების შესწორებები	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
მიღებული სესხი (გრძელვადიანი)	7,616	(369)	7247
მიღებული სესხი (მოკლევადიანი)	-	369	369

2018 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების შესწორებები	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
სხვა შემოსავალი	138	(116)	22
ფინანსური ხარჯი	(555)	116	(439)

7. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებების ცვლილებები იყო შემდეგი:

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა-დანაგებობიე	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	აქტივის გამოყენების უფლება	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	**3,095**	**2,709**	**95**	**106**	**243**	**-**	**6,248**
შემოსვლა	119	78	437	25	3,431	-	4,090
გასხვისება	-	(87)	(5)	-	-	-	(92)
2018 წლის 31 დეკემბერი	**3,214**	**2,700**	**527**	**131**	**3,674**	**-**	**10,246**
ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი	-	(157)	-	-		157	**-**
შემოსვლა	368	355	57	19	139	-	938
სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია					191		191
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	**3,582**	**2,905**	**577**	**150**	**4,004**	**157**	**11,375**
დაგროვილი ცვეთა	**108**	**414**	**18**	**8**	**-**	**-**	**548**
2017 წლის 31 დეკემბერი	157	627	77	20	-		881
ცვეთა	-	(14)	(2)	-	-		(16)
ჩამოწერა	**265**	**1,027**	**93**	**28**	**-**	**-**	**1,413**
2018 წლის 31 დეკემბერი	**108**	**414**	**18**	**8**	**-**	**-**	**548**
ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი	**-**	**(8)**	**-**	**-**	**-**	**8**	**-**
ცვეთა	196	616	112	26	-	31	981
ჩამოწერა	-	-	-	-	-		-
2019 წლის 31 დეკემბერი	**461**	**1,635**	**205**	**54**	**-**	**39**	**2,394**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 31 დეკემბერი	**2,949**	**1,680**	**427**	**103**	**3,674**	**-**	**8,833**
2019 წლის 31 დეკემბერი	**3,121**	**1,270**	**372**	**96**	**4,004**	**118**	**8,981**

7. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება (გაგრძელება)

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია შემდეგი ძირითადი საშუალებებით (ნეტო საბალანსო ღირებულებით): შენობები და ნაგებობები 2,550,159 ლარის; მანქანა დანადგარები 531,827 ლარის.

კომპანიის მანქანა დანადგარები ნეტო საბალანსო ღირებულებით 117,170 ლარით ჩადებულია საიჯარო ვალდებულების უზრუნველსაწყოფად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კაპიტალიზირებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების თანხა:

კომპანია ანხორციელებს ასფალტის წარმოების ქარხნის მშენებლობას, რომლის ექსპლუატაციაში შესვლა არ მომხდარა 2019 წლის განმავლობაში და მათი საბალანსო ღირებულება 2019 წლის სააანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს 3,746,203 ლარს (2018 წლის 31 დეკემბერს 3,416,585 ლარს).

კომპანიამ აღნიშნული მშენებლობის დასაფინანსებლად აიღო საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისგან სესხი, რომელიც მოხმარდა უშუალოდ ქარხნის მშენებლობას (განსაკუთრებული აქტივი). ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხება 2019 წლის სააგნარიშგებო პერიოდში შეადგენს 191,000 ლარს (2018 წლის 31 დეკემბერს: 0 ლარს).

8. ფული და მისი ექვივალნტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული საბანკო ანგარიშებზე	452	121
ფული სალაროში	-	1
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**452**	**122**

ფულადი სახსრები განთავსებულია ქართულ ბანკებში და არის დაბალი რისკის მატარებელი. მოკლევადიანი ხასიათის გამო ფულს და ფულის ეკვივალენტებზე არ არის შექმნილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული	347	195
საწარმოო მარაგები	2	3
გასაყიდად მზა პროდუქცია	144	2
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	15	2
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	**508**	**202**

10. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	530	441
მოთხოვნები კომპანიის პერსონალის მიმართ	10	291
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(177)	(68)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**363**	**664**

კოლექტიური მეთოდით სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის ბ5.5.50 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებელბზე.

კომპანიამ იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც იყენებს სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფინანსური ინტსტუმენტების მიმართ კომპანია აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	2019	2018
1 იანვრისთვის	**(68)**	-
რეზერვის ზრდა	(109)	(68)
31 დეკემბირსთვის	**(177)**	**(68)**

11. გაცემული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებული მხარებისადმი გაცემული ავანსები	-	42
მესამე პირისადმი გაცემული ავანსები	41	251
სულ გაცემული ავანსები	**41**	**293**

კომპანიის ავანსები დამოკიდებულია მეორე მხარეზე, წარმოდგენილი ავანსები აღებულია საოპერაციო საქმიანობებიდან და არ ერიცხება პროცენტი.

12. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება

საპროცენტო განაკვეთი		დასრულების თარიღი	ვალუტა	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
წასესხები სახსრები					
ვითიბი ბანკი	13.75%	9/15/2019	ლარი	-	-
საკრედიტო ხაზი	12%	6/5/2023	ლარი	32	-
საკრედიტო ხაზი	12%	6/5/2023	ლარი	84	30
საკრედიტო ხაზი	12%	7/5/2021	ლარი	58	79
საკრედიტო ხაზი	12%	7/5/2023	ლარი	227	53
საკრედიტო ხაზი	12%	5/7/2020	ლარი	555	206
საიჯარო ვალდებულება	18%	9/25/2020	აშშ დოლარი	31	-
საიჯარო ვალდებულება	17%	10/26/2020	აშშ დოლარი	28	-
სალიზინგო ვალდებულება	8.60%	9/15/2019	აშშ დოლარი	-	100
სულ მიმდინარე ვალდებულებები და დაროცხული პროცენტი				**1,014**	**468**
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები და დარიცხული პროცენტები					
GLADSTONE ALLIANCE	8.60%	9/15/2020	ევრო	9,055	5,558
საკრედიტო ხაზი	11.50%	6/5/2023	ლარი	695	922
საკრედიტო ხაზი	11.50%	6/5/2023	ლარი	256	340
საკრედიტო ხაზი	11.50%	7/5/2021	ლარი	37	94
საკრედიტო ხაზი	11.50%	7/5/2023	ლარი	97	129
სალიზინგო ვალდებულება	34.50%	9/25/2020	აშშ დოლარი	-	31
სალიზინგო ვალდებულება	35.10%	10/26/2020	აშშ დოლარი	-	29
სალიზინგო ვალდებულება	22.10%	9/15/2019	აშშ დოლარი	-	44
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები და დარიცხული პროცენტები				**10,140**	**7,147**

13. კრედიტორული დავალიანება

კომპანიის კრედიტორული დავალიანება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	2,502	4,637
ვალდებულებები მიღებული სერვისიდან	1	8
გადასახდელი ხელფასები	-	1
სულ კრედიტორული დავალიანება	**2,503**	**4,646**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ჩვეულებრივ იფარებიან 60 დღეში.

14. მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები წარმოადგენს პროდუქციის მიწოდებისთვის გადახდილ თანხებს კონტრაგენტი კომპნიების მიერ.

15. საგადასახადო ვალდებულება, წმინდა

კომპანიის საგადასახადო ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საგადასახადო ვალდებულებები		
საშემოსავლო გადასახადი	(244)	(107)
გადასახდელი დღგ	(33)	(134)
საგადასახადო ჯარიმა,საურავი	(108)	-
საგადასახადო აქტივები		
გადახდილი დღგ	-	82
სულ საგადასახადო აქტივები, წმინდა	**(385)**	**(159)**

16. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და აკუმულირებული ზარალისგან, რომელიც კომპანიას დაუგროვდა წლების განმავლობაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა.

17. შემოსავალი

შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
შემოსავალი ასფალტის რეალიზაციიდან	4,620	3,212
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	7,260	3,361
საიჯარო შემოსავალი	78	371
სხვა შემოსავალი	142	136
სულ შემოსავალი	**12,100**	**7,080**

18. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით

	2019	2018
ხარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება	(8,041)	(4,921)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	(1,099)	(641)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(859)	(844)
ხელფასები	(624)	(370)
სხვა ხარჯები	-	(2)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების	**(10,623)**	**(6,778)**

19. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ხელფასები	(483)	(511)
რემონტის ხარჯები	(37)	(44)
კომუნიკაციის ხარჯი	(76)	(49)
ცვეთის ხარჯი	(52)	(39)
სამართლებრივი და საკონსულტაციო ხარჯები	(133)	(35)
საწვავის ხარჯი	(53)	(48)
ჯარიმის ხარჯები	(19)	(5)
ნედლეული	(3)	(15)
საგადასახადო ხარჯები	(1)	(13)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(28)	(2)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**(885)**	**(761)**

20. არასაპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

კომპანიის არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
არასაპერაციო შემოსავალი		
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	22
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	59	-
არასაოპერაციო ხარჯი		
	(521)	-
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	**(462)**	**22**

21. მოგება/ (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა

კომპანიის მოგება/ (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
არარეალიზებული საკურსო მოგება / (ზარალი)	(462)	65
რეალიზებული საკურსო მოგება / (ზარალი)	(1)	22
სულ მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობა, წმინდა	**(463)**	**87**

22. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ნასესხები სახსრების პროცენტი	(496)	(371)
ფინანსური ლიზინგის ხარჯი	(24)	(68)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(520)**	**(439)**

23. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85% *15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

კომპანიას არ გაუცხადებია დივიდენდი და შესაბამისად არ აქვს მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდზე 2019 და 2018 წლებში.

24. ფინანსური რისკი

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რიკსების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენები და აღწერილია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

31 დეკემბერი, 2019	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	452	-	-	452
სავაჭრო მოთხოვნები	363	-	-	363
	815	**-**	**-**	**815**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	2,087	9,008	59	11,154
კრედიტორული დავალიანება	348	2,155	-	2,503
სულ ფინანსური ვალდებულებები	**2,435**	**11,163**	**59**	**13,657**
ღია სავალუტო პოზიცია	**(1,620)**	**(11,163)**	**(59)**	

31 დეკემბერი, 2018	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	106	16	-	122
სავაჭრო მოთხოვნები	664	-	-	664
	770	**16**	**-**	**786**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	1,854	5,604	158	7,616
კრედიტორული დავალიანება	2,805	1,841	-	4,646
სულ ფინანსური ვალდებულებები	**4,659**	**7,445**	**158**	**12,262**
ღია სავალუტო პოზიცია	**(3,889)**	**(7,429)**	**(158)**	

24. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

წარმოდგენილი ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის დამოკიდებულებას 20%-იან ზრდასთან და ლარის გაუფასურებასთან დოლარის და ევროს მიმართ. 20% წარმოადგენს ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას შესაძლო საკურსო ცვლილებებთან. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაშ დენომინირებულ მონეტარულ საბალანსო ნაშთებს და აკორექტირებს ამ ნაშთებს 20% იანი საკურსო სხვაობის მერყეობით.
დადებითი რიცხვი წარმოადგენს მოგების ან ზარალის ზრდას, სადაც ლარი მყარდება წარმოდგენილი ვალუტის მიმართ:

	დოლარის ეფექტი 2019		ევროს ეფექტი 2019		დოლარის ეფექტი 2018		ევროს ეფექტი 2018	
	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%
მოგება/ (ზარალი)	(12)	12	(2,233)	2,233	(32)	32	(1,486)	1,486

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადია საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე, რაც განპირობებულია კომპანიის მიერ აღებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	540	732
ფული ბანკში	452	121
	992	**853**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის კომპანიის მიერ ვალდებულების ვერ შესრულების რისკი.

კომპანიის პოლიტიკაა განახორციელოს გონივრული ლიკვიდურობის დონის მართვა, რაც გულისხმობს ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის საკმარისი დონის შენარჩუნებას, ისევე როგორც მაღალ ლიკვიდური აქტივების ქონას რომელიც უზრუნველყოფს ყველა ოპერაციისა და ვალის მომსახურების დაფარვას მისი დადგომის მომენტისათვის.

შემდეგი ცხრილი შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

24. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2019	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	452	-	452
სავაჭრო მოთხოვნები	363	-	363
სულ ფინანსური აქტივები	**815**	**-**	**815**
ფინანსური ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	2,503	-	2,503
მიღებული სესხები	1,014	10,140	11,154
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3,517**	**10,140**	**13,657**
ლიკვიდურობის გარღვევა	**(2,702)**	**(10,140)**	**(12,842)**
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	**(2,702)**	**(10,140)**	

31 დეკემბერი, 2018	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	122	-	**122**
სავაჭრო მოთხოვნები	664	-	**664**
სულ ფინანსური აქტივები	**786**	**-**	**786**
ფინანსური ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	4,646	-	**4,646**
მიღებული სესხები	468	7,147	**7,615**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**5,114**	**7,147**	**12,261**
ლიკვიდურობის გარღვევა	**(4,328)**	**(7,147)**	**(11,475)**
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	**(4,328)**	**(7,147)**	

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში.ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკქვეშ დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის ეკონომიკური, საგადასახადო, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საკანონმდებლო რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

25. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალი და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება

25. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები (გაგრძელება)

განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშიღებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
დებიტორული დავალიანება	-	331
მიღებული სესხები	9,008	5,604

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	571	373

ხელმძღვანელობაზე დარიცხული ხელფასი და სხვა სარგებელი:

	2019	2,018
ხელფასი და სხვა სარგებელი	121	199

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სამშენებლო ინდუსტია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისს მის მომავალ საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, თანაც, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობის ანგარიშგება

2019 წელი

შინაარსი

მისია	3-4
დამფუძნებელთა სრტუქტურა/ადამიანური რესურსები	5
კომპანიის ძირითადი პრიორიტეტები.	5
ფინანსური მაჩვენებლები	5-6
სამომავლო გეგმები	6

შპს „ლ. ენდ ლ“ - ინფრასტრუქტურული პროექტების კონტრაქტორი, - აწარმოებს ასფალტ-ბეტონს, და ინერტულ მასალებს.

მშენებლობა

სამშენებლო საქმიანობაში ვსპეციალიზირდებით შემდეგ მიმართულებებში:

- საავტომობილო გზები;

კომპანია ახორციელებს სახელმწიფო და კერძო კონტრაქტორის ხელშეკრულებებს.
ხელშეკრულების ფარგლებში ვაწარმოებთ:

- პროექტის მენეჯმენტს (დაგეგმარებას, შესრულებას და კონტროლს);
- შესყიდვების ლოჯისტიკას.

წარმოება

კომპანიის სპეციალიზაციაა ასფალტ-ბეტონის და ინერტული მასალების წარმოება, როგორც საკუთარი სამშენებლო პროექტებისთვის ასევე გარე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. უნდა აღნიშნოს რომ ამჟამად წარმოების მოცულობის 100% შიდა პროექტებზეა ორიენტირებული.

ასევე, კომპანია ფლობს ორ ასფალტ-ბეტონის ქარხანას, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო ობიექტებზე ასფალტ-ბეტონის წარმოებისთვის. მისი წარმადობაა ჯამურად 80-120 ტ/სთ.

მისია

ჩვენ, კომპანია „ლ. ენდ ლ“ - ინფრასტრუქტურული პროქტების კონტრაქტორი - ვაწარმოებთ ასფალტ-ბეტონს და ინერტულ მასალას.

ვაყალიბებთ ინოვაციურ კომპანიას, რომელიც რეგიონის ლიდერი იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისა და საგზაო-სამშენებლო მომსახურების სრული ციკლის, მათ შორის პროექტირებისა და პროექტების მართვისა და მიწოდების დარგში.

მისიის განსახორციელებლად, ჩვენ უნიკალური შესაძლებლობებით ვსარგებლობთ, როგორიცაა:

- საიმედო პარტნიორის სახელი;
- მაღალი კვალიფიკაცია და მომთხოვნი როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო დამკვეთების სტანდარტების დაკმაყოფილება;

საგზაო-სამშენებლო დარგში, ჩვენი მომხმარებლები არიან ადგილობრივი და უცხოური კომპანიები და ასევე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დამკვეთი სახელმწიფო უწყებები. ჩვენი კომპანია აკმაყოფილებს მათ ძირეულ მოთხოვნებს, უზრუნველყოფს რა მისაღებ ფასებს და შესრულებული სამუშაოების მაღალ ხარისხს, აუცილებელი რესურსების ხელმისაწვდომობასა და პროექტების მართვის ეფექტიანობას.

მისია (გაგრძელება)

საგზაო-სამშენებლო მომსახურების სრული ციკლის მიწოდების შესაძლებლობის შესაქმნელად, ვამყარებთ სტრატეგიულ საპარტნიორო ურთიერთობას მომწოდებლებსა და საპროექტო ორგანიზაციებთან.

ჩვენი პროდუქციის შეძენისას, ჩვენი მომხმარებლები არიან კომერციული კომპანიები, კერძო გამშენებლები და ფიზიკური პირები. ჩვენ ვაკმაყოფილებთ მათ მოთხოვნილებას, ვუზრუნველყოფთ რა მისაღებ ფასებს, მიწოდების სისწრაფესა და ხელმისაწვდომობას, ნაწარმის კარგ ხარისხსა და დამატებითი მომსახურების გაწევას.

ჩვენი კომპანია ავითარებს დამატებით ასფალტ-ბეტონის ქარხანას, თანადროულად კი იზრდება ჩვენი შესაძლებლობა დავაკმაყოფილოთ ჩვენი მომხმარებლის ასფალტ-ბეტონის შეძენის მოთხოვნილება. ამ მიზნით:

- ვახორციელებთ ფასების ოპტიმიზაციას საწარმოო პროცესების გაუმჯობესების ხარჯზე;
- გამუდმებით ვამცირებთ ხარჯებს;
- ვავითარებთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ასფალტ-ბეტონის მიწოდების დასაჩქარებლად;
- ვაფართოვებთ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტს;
- ვავითარებთ ასფალტ-ბეტონის ნაწარმისა და ინერტული მასალების წარმოებას.

დარგის ტექნოლოგიური განვითარების აჩქარების გათვალისწინებით:

- ვავითარებთ კომპანიის ინოვაციურობას და ვზრდით ტექნოლოგიურ უნარებს;
- ვსწავლობთ შენებისა და მასალის წარმოების მაღალტექნოლოგიურ მეთოდებს და ვნერგავთ მათ ჩვენს მომხარებელთან ერთად;
- კავშირებს ვამყარებთ მაღალტექნოლოგიური მასალების წარმოებისა და საგზაო-მშენებლობის მეთოდოლოგიის სფეროს წამყვან საერთაშორისო კომპანიებთან.

ეკონომიკური არამდგრადობისა და ბაზრების მერყეობის საფრთხეების აღმოსაფხვრელად:

- ვეძებთ კაპიტალის უფრო იაფ და მრავალფეროვან წყაროებსა და დაფინანსების საშუალებებს;
- ვზრდით საკუთარ კაპიტალს;
- ვეძებთ ახალ ბაზრებს და მეტად ვერთვებით სახელმწიფო და კერძო პროექტებში;
- ზედმიწევნით ვახდენთ საკუთარი საქმიანობის ბიუჯეტირებას და ვაკონტროლებთ ფულად ნაკადებს;
- კონტრაქტების დადებისას, ვითვალისწინებთ სავალიუტო რისკების;

დამფუძნებელთა სტრუქტურა და კორპორატიული მართვა

22%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი ლევან დადიანი (პ/ნ 31001002509)
22%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი ლევან კანდელაკი (პ/ნ 01008019650)
25,5%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი ვლადიმირ იარმალჩუკ (პ/ნ C3JPXGZCT, გერმანია)
5%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი ბესარიონ მარშანია (პ/ნ 01008015311 - დირექტორი)
25,5 %-იანი წილის მფლობელი პარტნიორი მიხაელ ვოლფ (პ/ნ C3JRTH1NR, C3JRTH84F)

ადამიანური რესურსები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომლების რაოდენობამ შეადგინა 57

ადამიანი, შემდეგი სქმატური სტრუქტურით:



ფინანსური მაჩვენებლები

ზოგადად, კომპანიის შემოსავლის მაჩვენებელი არის მზრდადი. 2018 წელთან შედარებით შემოსავალი გაიზარდა 5,020 ათასი ლარით და შეადგინა 71 %-იანი ზრდა.

შემოსავალი ბიზნეს მიმართულებების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

	2019	2018
შემოსავალი ასფალტის რეალიზაციიდან	4,620	3,212
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	7,260	3,361
საიჯარო შემოსავალი	78	371
სხვა შემოსავალი	142	136
სულ შემოსავალი	**12,100**	**7,080**

ძირითადი კოეფიციენტები გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი (Current Ratio)	45%	23%
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	70%	84%
ერთობლივი მოგების მარჟა *(Gross Profit Margin)*	12%	4%

ინსტიტუციონალური განვითარება

2019-2022 წლების განვითარების გეგმაზე დაფუძნებით, 2019 წელს კომპანიაში განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრქუტურული ცვლილებები:

1. შეიქმნა დამატებით ახალი საგზაო-სარემონტო რაზმი.
2. ადამიანური რესურსების კუთხით გაიზარდა საინჟინრო-გეოდეზიური ჯგუფი.

2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 2 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, ინდუსტირების დიდი ნაწილი გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისს მის საქმიანოაბზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს.

სამომავლო გეგმები

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის ტექნიკური პერსონალის მოზიდვა, ამ პერსონალის შრომით ბაზარზე არსებული დეფიციტის გამო.

კომპანია მომავალში, კვლავ, როგორც გასულ წლებში აპირებს მედგრად იდგეს განვითარებისა და გაძლიერების გზაზე, უფრო მეტად ჩაერთოს ინფრასტურტურულ პროექტებში, ამავე დროს დანერგოს ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციები საგზაო-სამშენებლო დარგში.

ბესარიონ მარშანია

დირექტორი

თბილისი, საქართველო

სამომავლო გეგმები

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის ტექნიკური პერსონალის მოზიდვა, ამ პერსონალის შრომით ბაზარზე არსებული დეფიციტის გამო.

კომპანია მომავალში, კვლავ, როგორც გასულ წლებში აპირებს მედგრად იდგეს განვითარებისა და გაძლიერების გზაზე, უფრო მეტად ჩაერთოს ინფრასტურტურულ პროექტებში, ამავე დროს დანერგოს ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციები საგზაო-სამშენებლო დარგში.

ბესარიონ მარშანია

დირექტორი

თბილისი, საქართველო